პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი შაბათი 8 დეკემბერი № 281 (17626) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი — ფახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი კოლექტივი ინსტიტუტის ოფიციალურ ორგანოს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ყოლითადად ულოცავენ მასწავლებელთა დახელოვნების სისტემის ყველა მუშაკს, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და ინსტიტუტების პროფესორებს, მასწავლებლებს, მეთოდისტ მეცნიერ მუშაკებს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ორმოცდაათი წლის იუბილეს.

საქმიანობის ორმოცდაათი წლის მანძილზე მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი გადაიქცა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა, სკოლისგარეშე და სკოლამდელთა დაწესებულებების მუშაკთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრად, ამ ხნის მანძილზე სისტემაში კვალიფიკაცია აიმაღლა, პედაგოგიური ოსტატობა სრულყო 300 ათასზე მეტმა კაცმა, რომლებმაც შეისწავლეს პედაგოგიკის მეცნიერების უახლესი მიღწევები, შეიძინეს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს თავისი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობის საყოველთაო შვიდწლიანი, რვაწლიანი, ამჟამად კი საყოველთაო საყოველთაო საშუალო განათლების შესახებ პარტიის საერთაო გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

კომუნისტური პარტიის ზრუნვის წყალობით რესპუბლიკაში შეიქმნა მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განვითარებული ქსელი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს წარმატებით გადაწყვიტოთ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული ამოცანები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნების, სკკპ XXV კრების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების შესაბამისად, გავაუმჯობესოთ მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის, შრომისათვის მისი მომზადების საქმე.

მასწავლებელთა დახელოვნების სისტემის წინაშე გასაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მოთხოვნების მიხედვით. რესპუბლიკის ეკონომიკისა და სულიერი ცხოვრების შემდგომი განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის დაჩქარება მოითხოვს, რომ განუხრელად ამაღლდეს სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის დონე და ხარისხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ამისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა პედაგოგს, სახალხო განათლების ყველა მუშაკს უნდა ჰქონდეს მაღალი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, საფუძვლიანად იცოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამშინაო და საგარეო პოლიტიკა, უნარიანად იყენებდეს მუშაობაში თავიანთი მოწფეების იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას. რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და ინსტიტუტების კოლექტივებმა ყოველნაირად უნდა შეაიარაღონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები, განათლების მუშაკები პედაგოგიკის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით, აღზრდისა და სწავლების თეორიით, სასკოლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკით, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, პოლიტეკონომიის, სოციოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა ცოდნით, სწავლების ხელოვნებისა და აღზრდის ხელოვნების შეხამების უნარით, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, პარტიის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელების ნაშრომებისა და ნაწარმოებების მტკიცე ცოდნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და ინსტიტუტების მუშაკები, რესპუბლიკის მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ყველა მუშაკი კვლავაც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას პარტიისა და ხალხის წინაშე, მთელ შრომას მოახმარენ ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის აღზრდის დიად საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ“.

დადგენილებით მოწონებულია ფერმების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მოწინავე კოლექტივების ინიციატივა 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ.

დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ავალებს გაძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა, რათა ფართოდ გაშალონ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ფერმებისა და ბრიგადების კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონების, ოკრუგების, ოლქების, მხარეების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის წარმოებით გამოზამთრებისათვის, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითარონ მეცხოველეთა შემოქმედებითი ინიციატივა ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გაზრდის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, სკკვების ეფექტიანი გამოყენების, წარმოების კულტურის ამაღლებისა და სულადობის სრული შენარჩუნების საქმეში.

დადგენილია, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ჩაითვლებიან რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ავტონომიური ოკრუგები, რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მეცხოველეობის ბრიგადები და ფერმები, რომლებიც ორგანიზებულად გამოზამთრებენ პირუტყვს, მიაღწევენ მაღალ მაჩვენებლებს ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, უზრუნველყოფენ ამ პროდუქტების წარმოების და შესყიდვის მატებას, პირუტყვის სულადობის რიცხვის ზრდასა და მისი პროდუქტიულობის გადიდებას გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დავალათ პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად, საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ბრიგადების, ფერმების კოლექტივების, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1300 საპატიო სიგელი, აქედან:

— მოკავშირე რესპუბლიკების დასაჯილდოებლად — 6 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 50-დან 100 ათას მანეთამდე;

— ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების დასაჯილდოებლად — 34 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 25-დან 50 ათას მანეთამდე;

— ავტონომიური ოკრუგებისა და რაიონების დასაჯილდოებლად — 260 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 5-დან 15 ათას მანეთამდე;

— კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დასაჯილდოებლად — 1000 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 3-დან 5 ათას მანეთამდე.

ამ საპატიო სიგელებიდან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გამოიყოფა 970, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსათვის — 27 და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსათვის — 3.

განსაზღვრულია აგრეთვე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოებული მეურნეობები მიიღებენ ავტობუსებსა და ავტომანქანებს შესაბამისი სამინისტროების მიერ განსაზღვრული პირობებით.

მიღებულია წინადადებანი:

— სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა მეცხოველეობის საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების სამახსოვრო წითელი ვიმპელებით დაჯილდოების შესახებ;

— სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსი და პროფკავშირთა შესაბამისი ცენტრალური კომიტეტებისა — იმის შესახებ, რომ დაწესდეს ამ სამინისტროებისა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების საპატიო დიპლომები მეცხოველეობის მოწინავეების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფერმებისა და მეცხოველეობის ბრიგადების სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების — 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაჩაღებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. ამასთან იგულისხმება, რომ გამარჯვებული საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდებენ მოკავშრე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სასოფლო-სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების გადწყვეტილებით სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

გადაწყდა მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდეს 1980 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით, 1979 წლის IV კვარტალისა და 1980 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლების გათვალისწინებით.

მოკავშრე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო, საოლქო და რაიონული აღმასკომების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წინაშე დასახულია ამოცანა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საჭირო პირობების შექმნას, რათა შესრულდეს 1979-1980 წლებში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების, მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების სოციალისტური ვალდებულებანი; ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა და გაავრცელონ მოწინავე მეცხოველეების, ფერმების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონებისა და ოლქების გამოცდილება; დასახონ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების კონკრეტული ღონისძიებანი.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დაჯილდოვდნენ ერთიანი საერთო-საკავშირო სამკერდე ნიშნით „1980 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული“ შრომაში მაღალი მაჩვენებლებისათვის 1979-1980 წლებში პირუტყვის გამოზამთრების პერიოდის შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

მოკავშრე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამინისტროებს, მოკავშრე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ნება ეძლევათ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარმოადგინონ მეცხოველეობის მუშაკები, რომლებმაც სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს და შრომითი მამაცობის ნიმუშები აჩვენეს, პროდუქციის წარმოების გადიდებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში 1979 წლის მეოთხე კვარტალისა და 1980 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რედაქციებმა ფართოდ უნდა გააშუქონ მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში, ყოველმხრივ გაუწიონ პროპაგანდა წარმოების ნოვატორ-მოწინავეთა გამოცდილებას.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც ემზადებიან ლენინურ ალბომში ნ. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, ახალ წარმატებებს მიაღწევენ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში და თავიანთ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ᲬᲣᲗᲗᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

წლის ფინიშს — დამკვრელური შრომა!

საკავშირო დროშა დაიმსახურა

ლანჩხუთი. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა (გენერალური დირექტორი — ა. კილაძე, მთავარი ინჟინერი — ვ. ღლონტი) წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის სეზონში ნაკისრი ვალდებულებანი და ჩაის ფაბრიკებს შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და დარგის პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ნაცვლად წლიური ვალდებულებით ნაკისრი 29.451 ათასი მანეთისა დამზადებულია 29.903 ათასი მანეთი ღირებულების ჩაი. ამასთან პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალებას 26 პროცენტით გადააჭარბეს. გადამეტებით შესრულდა აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმები.

ლანჩხუთელებმა გადაწყვეტეს წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ქვეყანას 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიაწოდონ.

საქმეს გამოაჩინა

„არც ერთი ახალბედა — უყურადღებოდ“ და „დღევანდელი მოწინავის მიჯნა, ხვალ — ყველას ნორმა“ — ეს შესანიშნავი თაოსნობანი, რომლებიც რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში იშვა, თავის ნაყოფს იძლევა. ამას ადასტურებს მძახავ ქეთევან ჭანბინაშვილის მაგალითიც. ქალიშვილმა ორი წლის წინათ დაამთავრა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და შრომაში ჩაება. საწარმოს კოლექტივი გულთბილად შეხვდა მას, უყურადღება და მზრუნველობა არ მოუკლია. ყოველივე ეს დაეხმარა ახალგაზრდა მუშაკს დაუფლებოდა შრომის პროგრესულ მეთოდებს, ჯერ მთლიანად, შემდეგ კი გადაჭარბებითაც შეესრულებინა ცვლის დავალებანი.

სურათზე: ქეთევან ჭანბინაშვილი.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ამხ. ო. ვ. მელვინეთუხუცესისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება მიენიჭოს ამხ. ოთარ ვახტანგის ძე მელვინეთუხუცესს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 7 დეკემბერი.

ᲜᲘᲭᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთერთ წამყვან მსახიობს ოთარ მელვინეთუხუცესს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

და აი, ისიც, სახეგაბრწყინებული, გახარებული... რატომაც არა, 47 წლისას ბევრს როდი რგებია ასეთი პატივი!..

— მე მიმაჩნია, რომ ეს არის მთელი ქართველი სამსახიობო სკოლის გამარჯვება, — გვეუბნება ოთარ მელვინეთუხუცესი. — გამარჯვება იმ თეატრისა, რომლის იუბილეც ამ დღეებში ვიზეიმეთ. მარჯანიშვილის თეატრი ყოველთვის იყო მსახიობის თეატრი და, რა სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. მე კი ამ „მსახიობის თეატრს“, საოცარ თანავარსკვლავედს მარჯანიშვილელებისას, ალბათ ცოტაოდენი რამ მაინც შევმატე და დიდად ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოკრძალებული ღვაწლი აგრე რიგად დამიფასდა.

გთხოვთ, ჩაწეროთ, რომ ამ აღიარების თანაზიარია ყველა ჩემი მეგობარი-პარტნიორი. ისინი რომ არა, არავითარი ფასი არ ექნებოდა ჩემ მიერ შექმნილ სახეებს. მათთვისაც მიმელოცოს ამ-

დაგვარი სიხარული, ყველასათვის მიმელოცოს, ვინც ქართული თეატრალური ხელოვნების წინსვლისათვის ნიჭსა და შემართებას არ იშურებს!

დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემს სიხარულს იზიარებს. მადლობა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომლის ყურადღება და ზრუნვა, ეს ბოლო პერიოდია, ჩვენთვის განსაკუთრებულია...

ძვირფასო მკითხველო, თქვენ ალბათ ზეპირად იცით ო. მელვინეთუხუცესის ბოლოდროინდელი რეპერტუარი მაინც. ამიტომ აღარ შეგახსენებთ იმ სახეებს, რომელთაც ქეშმარიტი ხელოვნების ბეჭედი აზის. ის სახეები ხელოვნების კუთვნილებაა, გვჯერა, რომ ახალახალი მიღწევები წინ არის.

ვ. მარდალეიშვილი.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 7 დეკემბერი. (საკდესი), დღეს ბერლინიდან მოსკოვში გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაში.

აეროდრომზე იგი გამოაცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 7 დეკემბერი. (საკდესი), დღეს ბერლინიდან მოსკოვში გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ-ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში გაიმართება საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია, რომელიც გაანხილავს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმას, 1979 წელს გეგმის შესრულების მიმდინარეობას, საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, მის შესრულებას 1978 წელს.

ამასთან დაკავშირებით 7 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მეორე სხდომა, რომელზეც იმსჯელეს მის მიერ გამოყოფილ დარგობრივ ქვეკომისიებში ამ საკითხების წინასწარი განხილვის შედეგებზე, მოისმინეს ინფორმაციები, რომლებიც წარმოადგინეს: მრეწველობის (დეპუტატი ბ. მაზარაშვილი), მშენებლობისა და კეთილმოწყობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების (დეპუტატი ა. აზიროვი), სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის (დეპუტატი ს. დურმიშიძე), ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის (დეპუტატი მ. ხანანაშვილი), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (დეპუტატი გ. გაჩეჩილაძე), კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების (დეპუტატი დ. ჩხეიძეშვილი) ქვეკომისიებმა.

სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე დეპუტატების შ. ბერიანიძისა და ლ. ასაკაძის ინფორმაციები მუშაობის შესახებ, რაც გასწია დამატებითი შემოსავლის გამოვლინისა და განაწილების ორმა ქვეკომისიამ, რომლებიც შეიქმნა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრებისაგან წინა სხდომაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ჩხეიძემ.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ფ. ანანიაშვილი, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. (საინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია გაიხსნება 1979 წლის 11 დეკემბერს დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 9 და 10 დეკემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 6, № 11, ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

11 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲬᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1979 წლის 10 დეკემბერს საღამოს 6 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების 21-ე მუხლის შესაბამისად აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად დაასახელეს სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსებმა და წევრ-კორესპონდენტებმა გაზეთ „კომუნისტში“ 1979 წლის 22 აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატები

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

მათემატიკა

გეგელია თენგიზ გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ფიფიაშვილი ლევან ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ხვედელიძე ბორის ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ექსპერიმენტული ფიზიკა

გვერდწითელი ირაკლი გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

გეოლოგია

ბუაჩიძე იოსებ მოსეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ზარიძე გიორგი მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

თვალჭრელიძე გიორგი ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

ენერგეტიკა (თბოტექნიკა)

გომელაური ვახტანგ ივანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა

თავხელიძე დავით სერგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლლოლაძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გამოთვლელი ელექტრონული მანქანები (დამუშავება და კონსტრუირება)

ფრანგიშვილი ივერი ვარლამის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მართვის პროცესები ავტომატიზებულ სისტემებში

ჭიპაშვილი ვახტანგ კონსტანტინეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჯორჯაძე ირაკლი ივანეს ძე — სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიოლოგიის განყოფილება

ტექნიკური ბიოკიბერნეტიკა

ბოკუჩავა მიხეილ ალექსის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მედიცინის პრობლემათა განყოფილება

ექსპერიმენტული მორფოლოგია

ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია

ბაკურაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ნარიკაშვილი სერგი პავლეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ონიანი თენგიზ ნესტორის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

ეკონომიკა

გუნია ავთანდილ ლევანის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჩანტლაძე ვასილ გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ენისა და ლიტერატურის განყოფილება

ენათმეცნიერება (ზოგადი, კავკასიური ენები)

ლომთათიძე ქეთევან ბესარიონის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლიტერატურათმცოდნეობა (მწერალი)

აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის ძე — მწერალი

ხარაძე გიორგი არჩილის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჯიბუტი რევაზ ილიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ნუცუბიძე ნოდარ ნიკოლოზის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სანაძე გივი ალექსანდრეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭკუასელი თეიმურაზ იასონის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერიმენტული ფიზიკა

ამაღლობელი ნოდარ სარდიონის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ნასყიდაშვილი ილია არჩილის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

როინიშვილი ნინო ნიკოლოზის ასული — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

სალუქვაძე რევაზ გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სანაძე ვლადიმერ ვლადიმერის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფაქაძე ჯელილ სევერიანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

გეოგრაფია

ასლანიკაშვილი ალექსანდრე თედორეს ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

მარუაშვილი ლევან იოსების ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაოშვილი ვახტანგ შალვას ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნარიკაშვილი სერგი პავლეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჰიდროლოგია

ვლადიმეროვი ლევ ალექსანდრეს ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნათიშვილი ოთარ გიორგის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სვანიძე გივი გედეონის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა

ხვინგია მიხეილ ვლადიმერის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამთო საქმე

მინდელი ელიზბარ ონისიმეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

არაორგანული ქიმია

გაფრინდაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფირცხალავა ნონე იოსების ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცაგარეიშვილი გური ბენედიქტეს ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცინცაძე გივი ვასილის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაფარიძე ლევან ნიკოლოზის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ორგანული ქიმია

ლაღიძე რამაზ მიტროფანეს ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქემხაძე შოთა სტეფანეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩანანაშვილი ლოტარ მიხეილის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩახტაური ადამ ილიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წერეთელი ოთარ დიმიტრის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

წოთლანაძე ელიზბარ სიმონის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხარაბიშვილი გურამ ლევანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭკარშეიშვილი აკაკი გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თეორიული ფიზიკა

ბუიშვილი ლევან ლავრენტის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაშაკიძე ივანე შალვას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კოპალეიშვილი თეიმურაზ ისაკის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ცინცაძე ნოდარ ლევანის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფხაკაძე შალვა სამსონის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქანთარია გივი ბენიამინის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქემხაძე შოთა სტეფანეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩახტაური ადამ ილიას ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბერიკაშვილი ნოდარ ალექსის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ბურჭულაძე თენგიზ ვლადიმერის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვახანია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზერაგია პოლიკარპე კონსტანტინეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ინასარიძე ხვედრი ნიკოლოზის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

კალანდია აპოლონ იოსების ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კილურაძე ივანე ტარიელის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლომაძე გიორგი არსენის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანია გვანჯი მიხეილის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანჯავიძე გიორგი თერაფონტეს ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოკლეი ლეონიდე ნიკოლოზის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიოლოგიის განყოფილება

მცენარეთა ფიზიოლოგია და ბიოქიმია

კეზელი თამარ ალექსანდრეს ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნუცუბიძე ნოდარ ნიკოლოზის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სანაძე გივი ალექსანდრეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭკუასელი თეიმურაზ იასონის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბოტანიკა

ნახუცრიშვილი გიორგი შალვას ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გენეტიკა

გორგიძე ალექსანდრა დავითის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ვაშაკიძე ვერა ივანეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თედორაძე სერგო გედევანის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კაპანაძე იოსებ სპირიდონის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ჯოხაძე დავით ივანეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია

ბახუტაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყურაშვილი ვიტალი ეპიფანეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭანიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მედიცინის პრობლემათა განყოფილება

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია

აბესაძე ავთანდილ იოსების ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ასათიანი არჩილ ვლადიმერის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბუთხუზი საურმაგ მიხეილის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

იოსელიანი თეიმურაზ კლიმენტის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოსიძე ვახტანგ მიხეილის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნადარეიშვილი კიაზო შალვას ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სიხარულიძე ალექსი ივანეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ძიძიშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიოფიზიკა

ზაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლომსაძე ბორის არჩილის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქარსანოვი ნიკოლოზ ვასილის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ციტოლოგია

გაბუნია უჩა ამბერკის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დეკანოსიძე თამარ ივანეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თუმანიშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კანდელაკი გალინა ვასილის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნანეიშვილი ბიძინა რაჟდენის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სვანიძე იგორ კონსტანტინეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

შარაშიძე ლუარსაბ ალისტრატეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცაგარელი ზურაბ გიორგის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პარაზიტოლოგია

თოფურია ირაკლი ივანეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყურაშვილი ბორის ეპიფანეს ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

სკკპ ისტორია

ლომაშვილი ფარნაოზ ნიკოლოზის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მახარაძე ნიკოლოზ ბარნაბის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მერკვილაძე ვლადიმერ ნესტორის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყვანია გრიგოლ კონდრატეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სტურუა ნიკოლოზ ივანეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩხეიძეშვილი დავით იოსების ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ისტორია

ანჩაბაძე ზურაბ ვიანორის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გეგეშიძე მიხეილ კირილეს ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დუმბაძე მამია ქიშვარდის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კაჭარავა იური მიხეილის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარგიანი გრიგოლ ნიკოლოზის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხახუტაიშვილი დავით ახმედის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ფილოსოფია

ბეგიაშვილი არჩილ თედორეს ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კუკავა თამარ გრიგოლის ასული — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მისაბიშვილი შოთა ვლადიმერის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შერიზნია აპოლონ ეპიფანეს ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ხიდაშელი შალვა ვასილის ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

არქეოლოგია

ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯაფარიძე ოთარ მიხეილის ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკონომიკა

მელქაძე ვალერიან ირაკლის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ულენტი პეტრე მაქსიმეს ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტყეშელაშვილი ნიკოლოზ მათეს ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფანცხავა არჩილ იაკობის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ძნელაძე დავით პლატონის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭანყვეკაძე გივი დავითის ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ენისა და ლიტერატურის განყოფილება

ენათმეცნიერება (ზოგადი, კავკასიური ენები)

ანდრონიკაშვილი მზია კონსტანტინეს ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამიშვილი გურამ ვალერიანის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული ენა

გიგინეიშვილი ივანე მოსეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

იმნაიშვილი ივანე ბესარიონის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აღმოსავლეთმცოდნეობა

თოდუა მაგალი არეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კობაძე დავით ივანეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უახლესი და საბჭოთა ლიტერატურა

მერკვილაძე გიორგი ივლიანეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ციციშვილი გიორგი შალვას ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭილაია სერგი ესტატეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჭუსოითი ნაფი გრიგოლის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კლასიკური ფილოლოგია

ურუშაძე აკაკი ვლადიმერის ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყაუხჩიშვილი თინათინ სიმონის ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს. თავისი არსებობის წლებში ინსტიტუტი ზოგდასაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგების, რესპუბლიკის სკოლისგარეშე და სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კერა გახდა. აქ პედაგოგიური ოსტატობა აიმაღლა 300 ათასზე მეტმა კაცმა.

ინსტიტუტის იუბილე

ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს მიეძღვნა 7 დეკემბერს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გამართული საზეიმო საღამო.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ჭინქლაძემ, რომელმაც საზეიმო სხდომა გახსნა, ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, ინსტიტუტის კოლექტივი რომ ეწევა პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პროპაგანდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ ე. სეხნაშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მისალმება ცენტრალური ინსტიტუტის კოლექტივისადმი, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების სისტემის მუშაკებისადმი ინსტიტუტის ნახევარი საუკუნის იუბილეს გამო.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. სირაძეს. მან წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახალხო განათლების მუშაკთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დამსახურებისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატარი სიგელი ინსტიტუტის დაჯილდოების შესახებ.

მოხსენება 50 წლის მანძილზე ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ გააკეთა მისმა დირექტორმა, დოცენტმა მ. დარჩიამ. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

მეკატყობინებენ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა კორესპონდენტები

ირან-ამერიკის ურთიერთობიდან

თეირანი. ისლამური რევოლუციური საბჭოს წარმომადგენელმა ეროვნული თავდაცვის სამინისტროში აიათოლა ხამენეის გაზეთ „ბამდადის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ ირანის ყველა ადმინისტრაციულ ცენტრში ყალიბდება „ეროვნული მობილიზაციის შტაბები“, რომლებშიც შედიან შეიარაღებული ძალების, ჟანდარმერიის, პოლიციის, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის, სამოდელოების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლები. ამ შტაბების ამოცანაა კონტროლი გაუწიონ სახალხო მოლაშქრეთა შეიარაღებას და სამხედრო მომზადებას „ქვეყნისა და რევოლუციის დასაცავად ყოველგვარი აგრესიისაგან, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ამხედრებული იმპერიალიზმის ძალების შესაძლო ინტერვენციისაგან“.

ნიუ-იორკი, გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ იუწყება, რომ ამ დღეებში არაბეთის ზღვაში იმყოფება „ისტორიაში უდიდესი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების ფლოტილია“, რომელიც სპარსეთის ყურის შესასვლელთან დაცურავს. „დამსჯელი“ აქციის დაწყების ბრძანების მიღების შემთხვევაში, ხაზს უსვამს „ნიუ-იორკ პოსტი“, ავიამზიდებმა შეიძლება ეცეცხლი დაუშინონ სპარსეთის ყურის სანაპიროზე განლაგებულ ირანის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ობიექტებს.

ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იმოწმებს ოფიციალურ პირებს და აღნიშნავს, რომ ჯ. კარტერის ადმინისტრაცია განიხილავს იმას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინდოეთის ოკეანეს რაიონში გაიგზავნოს საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსის სპეციალური სადესანტო ნაწილები.

სტამბოლი. როგორც გაზეთი „გიულიანდინი“ იუწყება, თურქეთში განლაგებული ამერიკის ბაზების სამხედრო პერსონალი საბრძოლოდ არის გამზადებული. გაზეთი აღნიშნავს, რომ თურქეთის მთავრობა კატეგორიულად ილაშქრებს ამ ბაზების გამოყენების წინააღმდეგ ირანის ამბებთან დაკავშირებით, და ხაზს უსვამს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები მაინც არ მოერიდება სამხედრო ჩარევას და თურქეთში განლაგებული ბაზებიდან ჯარებს გადაიყვანს ირანში, ეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს თურქეთ-ამერიკის ურთიერთობას.

პარიზი. ფრანგული ჟურნალი „ვსდ“ წერს: „ჰერკულესის“ ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავებით ჩაყვანილი პირველი ამერიკელი კომანდოსები სპარსეთის ყურეში საფუძის მთავარ სანავთობო ნავსადგურ დახრანში ჩავიდნენ. ყველანი საბოლოოდ ტანსაცმლით არიან და ოფიციალურად ითვლებიან „ტექნიკურ სპეციალისტებად“. პენტაგონის მიერ შემუშავებული სცენარის შესაბამისად არაბეთის სანაპიროზე თავმოყრილ ამ ამერიკულ ძალებს რაკეტმზიდი კრეისერის „ლა სალის“ დაცვით შეუძლიათ ერთი დარტყმით აღიღონ კუნძული და ხარკის ნაკადგური. სწორედ აქ, უზარმაზარ ნავთობსაცავებშია მოთავსებული საექსპორტოდ განკუთვნილი ირანული ნავთობის მარაგი. ვინც ხარკს დაუპატრონება, შეძლებს ეკონომიკურად მოაშთოს ირანი“.

ჟურნალი აგრეთვე იუწყება, რომ ამჟამად 40.000-მდე ყოფილი ირანელი სამხედრო პირი, რომლებსაც შაჰი გასამრჯელოს აძლევს, ეგვიპტეში, ისრაელსა და იორდანიაშია თავმოყრილი. თვით თეირანში, აღნიშნავს ყოველკვირეული, არალეგალურად მოქმედებენ შაჰის შეიარაღებული მომხრენი, რომლებიც მხოლოდ გამოსვლის სიგნალს ელოდებიან. ჟურნალში დაბეჭდილია ამერიკის შეერთებული შტატების 82-ე ავიაესანტო დივიზიის მეთაურის გენერალ უორკერის ინტერვიუ, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ირანი მარწუხებში მოვიგდეთო“...

ფოტოინფორმაცია

ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის აქტივისტები მოითხოვენ გაათავისუფლონ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლი ჯორჯ მერიტი, რომელიც შეთითხნილი ბრალდებით იტანჯება საპყრობილეში.

სურათზე: სამართლიანობისათვის მებრძოლის მხარდასაჭერად გამართული დემონსტრაცია ჭალაქ ნიუარკში.

ა. ვორონინის ფოტო (საკლესის ფოტოქრონიკა).

სამხრეთკორეული ფარული

ტოკიო, 7 დეკემბერი. გუშინ სეულში გაითამაშეს მორიგი ფარული სამხრეთ კორეის დროებითი პრეზიდენტის „არჩევნებთან“ დაკავშირებით. ხელისუფალთა მიერ გულდასმით შერჩეულმა 2465-მა ამრჩევმა „აირჩია“ ოქტომბრის დამლევს მოკლული დიქტატორის პაკ ჯონ ხის მემკვიდრე. ახალი პრეზიდენტი გახდა ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ჩოი კიუ ხა, რომლის კანდიდატურა ერთადერთი იყო. „არჩევნები“ მიმდინარეობდა 1972 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, რომელმაც, როგორც ცნობილია, დაადასტურა პრეზიდენტის დიქტატორული უფლებამოსილება. ოპოზიციის ხელმძღვანელებმა და თვით დემოკრატიული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ კიმ ჯონ პილმა, რომლებიც მოითხოვდნენ ანტიხალხური კონსტიტუციის გაუქმებას და პირდაპირი საყოველთაო არჩევნების მოწყობას, უარი თქვეს დაესაწყებინათ თავიანთი კანდიდატურები, რითაც ბოიკოტი გამოუცხადეს სეულის მდარე ფარულ.

ჩოი კიუ ხამ „გაიმარჯვა“ იმ სიგანგებო წესების პირობებში, რაც სეულში გრძელდება მშრომელთა მთავრობის ამასწინანდელი მასობრივი საწინააღმდეგო გამოსვლებისა და პაკ ჯონ ხის მკვლელობის შემდეგ. წინა დღით სეულის ხელისუფლებამ დაუპატიმრეს დემოკრატიული მოძრაობის დაახლოებით 200 მონაწილე, ბევრს სასტიკად სცემეს პოლიციის უბნებში.

ხელყოფენ ადამიანის უფლებებს

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი. ადამიანის უფლებათა „დაცვის“ დემაგოგიური კამპანიის აკომპანემენტით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები სინამდვილეში ფართო შეტევას აწარმოებენ ამერიკელ მოქალაქეთა ელემენტარულ უფლებებსა და თავისუფლებებზე. ამერიკის კონგრესის სენატის იურიდიულმა კომისიამ ხმის უმრავლესობით მოიწონა კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის შესახებ. კანონპროექტი შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ხელისუფალთ შეზღუდონ ამერიკელთა მოქალაქეობრივი უფლებები და ჩაახშონ თავისუფალი აზრი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბასამ შაქაა გაათავისუფლეს

ბეირუთი, 7 დეკემბერი. ისრაელის დილეგიდან პალესტინელი პატრიოტის ქალაქ ნაგლუსის მერის ბასამ შაქაას განთავისუფლება არაბეთის საზოგადოებრიობამ მიიჩნია პალესტინის არაბი ხალხის, არაბული ქვეყნების მთელი პროგრესული ძალებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის გამარჯვებად.

მშვიდობისათვის დასავლეთ საჰარაში

მონროვია, 7 დეკემბერი. აქ დამთავრდა აფრიკელთა ერთობის ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის სხდომა დასავლეთ საჰარის პრობლემის შესწავლის საკითხზე. კომიტეტმა მოუწოდა კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი დასავლეთ საჰარის ტერიტორიაზე და ხელი შეუწყონ იქ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის მოწყობას თვითგამორკვევის საკითხზე.

„კომუნისტის“ კომენტარი

პორტუგალია: გადახრა მარჯვნივ

1974 წლის „მიხაკების რევოლუციის“ შემდეგ პორტუგალიაში თერთმეტი მთავრობა შეიცვალა. მემარცხენე ძალების თავდაპირველმა წარმატებამ, პირველი პერიოდის პროგრესულმა გარდაქმნებმა, ქვეყნის ყველაზე მასობრივი—სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ორპოფულმა პოლიტიკამ, კომუნისტთა მტკიცე თანამიმდევრულმა კურსმა და პირველი დაბნეულობის შემდეგ რეაქციის თანდათანობითმა ორგანიზებულობამ, ერთი მხრივ ძალთა პოლარიზაციას შეუწყო ხელი, ხოლო, მეორე მხრივ, სიმძაფრე შემატა შინაპოლიტიკურ ბრძოლას.

როდესაც დაახლოებით ერთი წლის წინათ სოციალისტთა ერთპიროვნული მთავრობა დაეშხო და ასეთივე ბედი ეწია მომდევნო რამდენიმე მთავრობას, დამნიშნველოვან მოვლენად იქ

მწერლის ნაკაზრევი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის ჟენერალური თემა

გვირგვინი დღეისა, ბალავარი ხვალისა

გიორგი ციციშვილი,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი

ომამავალი — ერთი ყველაზე ფართოშინაარსიანი, ღრმა-აზროვანი, მრავალი განცდისა და ფიქრის აღმძვრელი ცნებაა ყველა ეპოქისა და ეროვნების ადამიანთათვის. ამიტომ ამ ცნების გამომხატველი სიტყვაც საოცრად ტევადი და მრავალსმეტყველია.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში ეს სიტყვა მუდამ უკავშირდებოდა ბედნიერების მოლოდინს, სიკეთის წადილს, სიხარულიან იმედს, ხვალინდელი დღის რწმენას. ეს სიტყვა ასულდგმულებდა და აკაჟებდა ხალხს ძნელდობაში, ახარებდა და ახალისებდა მშვიდობიან წუთებში.

მომავალი ყოველი დროისათვის იმედის ის უქრობი სხივი იყო, რომლისთვისაც ყველა ქვეყნის შეგნებული შვილები თავის პირად ყმთილდღეობას თმობდნენ. ამდენად, ეს სიტყვა ღირსეულთათვის საერთო-სახალხო საზრუნავს, საერთო-სახალხო სიკეთეს და მისდამი ერთგულებას, მისთვის თავგანწირვასაც ნიშნავდა.

დღეს ამ სიტყვის მომწოდებელური ძალა და შინაარსიანობა კიდევ უფრო გაიზარდა. — გაიზარდა იმიტომ, რომ ამ სიტყვამ განყენებულობის ელფერი დაკარგა, რეალურ შესაძლებლობად იქცა, ჭეშმარიტ გამოცვეთა, დასხეულდა.

მომავლის კონკრეტული შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, მომავალ თაობებს უკავშირდება. ისტორიულ წარსულში ფესვგადგმული ეს სიტყვა თანამედროვე პარტიული პუბლიცისტიკის ენაზე რომ ვთარგმნოთ, კადრებს მივიღებთ.

კადრების აღზრდა კი დროებითი, ერთი რომელიმე მომენტით ნაკარნახევი ვიწრო ტაქტიკური ამოცანა როდია; სოციალისტურ საზოგადოებაში იგი პარტიულ-საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივ-სოციალური და კულტურულ-მეცნიერული მუშაობის საფუძველია, უძირითადესი სტრატეგიული ამოცანაა. მისდამი არ შეიძლება არც კამპანიური მიდგომა, არც ზედმეტი აჩქარებულობა და არც ზედმეტი დახანება. დროულობა, ოპერატიულობა, ობიექტურობა აუცილებელი პირობებია საკადრო პოლიტიკისა.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი XVII პლენუმი საგანგებოდ მიუძღვნა ამ პრობლემას. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს კომპარტიის მთელს, თითქმის. სამოცწლოვან ისტორიაში, როცა მისი პლენუმი მთლიანად კადრების საკითხს ეძღვნება. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკადრო პოლიტიკას ჩვენი რესპუბლიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში, და შესაბამისად კადრების უკეთესი მომზადებულობის პირობებში, ამ პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა არათუ არ კლებულობს, სულ უფრო და უფრო იზრდება, ყოვლისმომცველი ხდება.

პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, როშ „თანამედროვე ეტაპზე კადრებთან მუშაობა ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე უნდა დავაყენოთ. საჭიროა ყოველმხრივ გავიაზროთ ყოველივე ნაღვაწი და მიღწეული, განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება, გავაანალიზოთ კერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიზეზები, აღმოვფხვრათ ისინი, შევიმუშაოთ ჩვენი კადრების მომზადების, გაწაფულებისა და აღზრდის მთელი საქმის შემდგომი სრულყოფის ფართო პროგრამა“. მოხსენებაში ასევე ხაზგასმით ნათქვამია, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მომზეფდა ამ პრობლემის „კომპლექსური განხილვისა და რეალური გადაჭრისათვის“.

საკადრო პოლიტიკის ასეთი „კომპლექსური და რეალური“ გადაჭრისათვის მომზეფდნენ საქართველოს კულტურის ფრონტის მრავალრიცხოვანი ძალებიც, რომელთა საქმიანობას ახალი პერსპექტივები გადაეშალა, ახალი გაქანება მიეცა ჩვენს რესპუბლიკაში 50-იან და 60-იან წლებში ფეხმოკიდებული დამამუხრუჭებელი მოვლენების აღკვეთის შემდეგ.

რესპუბლიკის კულტურული აღმშენებლობისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო უკანასკნელი ექვსი-შვიდი წელიწადი, როცა ზიანისმომტან ინერტულობასა და განუკითხავობას წერტილი დაესვა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მეძლო ქართველი ხალხის დარაზმვა ახალი, გრანდიოზული ამოცანების საიერიშოდ. ამ საერთო-სახალხო ლაშქრობამ, რომელსაც უდიდესი პარტიულ-პოლიტიკური, სოციალურ-სამეურნეო და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ, და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისთვის, უკვე მოგვცა დიდად სასიხარულო შედეგები, რამაც საბჭოთა საქართველო კულტურული და სამეურნეო განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა, კიდევ უფრო დიდებული პერსპექტივები გადაუშალა.

არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს საკავშირო საზოგადოებრიობას კარგად მოეხსენება, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ძალა, საერთოდ, კულტურის მუშაკთა მხატვრულ-პროფესიული და საზოგადოებრივი აქტიურობა. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგში შეიქმნა ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ თანამედროვე საბჭოთა ეროვნული კულტურის ახალ შემოქმედებითს აღმავლობაზე.

ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ ჭეშმარიტი მზრუნველობისა და მხარდაჭერის პირობებში, რომლითაც გარემოსილი არიან საბჭოთა ხელოვანნი ჩვენს დიად სოციალისტურ ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში.

შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი ენთუზიაზმითა და გაზრდილი ძალით ასამშვაებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთა საყოველთაო, **ზოგადპარტიული მნიშვნელობა** აქვს. იგი საგულისხმო და საყურადღებოა მთელი საერთო-პარტიული მასშტაბით, რამდენადაც შეუძლია გაამრავალფეროვნოს პარტიული მუშაობის გამოცდილება განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეროვნულ კულტურათა ხელმძღვანელობის საქმეში, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური, მიზანდასახულობით ინტერნაციონალისტური კულტურის განვითარების საქმეში.

კულტურის მუშაკთა კადრების ზრდა კი სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა ამ კადრების ინტერნაციონალისტური ბუნების გამდიდრება, ფართო მასშტაბურობისადმი სწრაფვა, ჭეშმარიტად ხალხური, ჭეშმარიტად რეალისტური შემოქმედებისადმი ერთგულება, მიმდინარე პროცესებში სწორი ორიენტირების უნარის გამომუშავება, პარტიული სულიკვეთების თანამიმდევრული და სისტემური აღზრდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა შემოქმედ კადრებს უდიდესი ნდობით ეკიდებიან და მათდამი გაზრდილ უურადღებას იჩენენ, აქტიურად აბამენ მათ ქვეყნის პარტიულ-სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის პერიოდული პრესა მკვეთრად გაიზარდა და უაღრესად მძლავრი გახდა. დღეს ჩვენ ვიცემთ საკუთარ გაზეთს, ოთხ სქელტანიან ჟურნალს (სამ — ქართულ და ერთს—რუსულ ენაზე) და ჟურნალის ტიპის რამდენიმე ალმანახს. რა თქმა უნდა, ესეც დიდი ნდობისა და დიდი ყურადღების შედეგია.

არც ის არის შემთხვევითი, რომ შემოქმედებითი კადრების — მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მუსიკოსების, თეატრის, კინოს და ტელევიზიის მუშაკების, ჟურნალისტების სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მარტო მწერალთა კავშირს უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე გამოეყო იმდენი ბინა, რამდენიც მთელ ომისშემდგომ პერიოდში არ მიგვიღია და მოგვეცა ისეთი სამოცდაათ ბინებო თანხები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე მწერალთა გასაგზავნად, რაც ჩვენი კავშირისათვის მთელი მისი არსებობის მანძილზე არ გამოუყვიათ.

ასეთივე მზრუნველობით არის გარემოცული ხელოვნების სხვა დარგებიც. ამის მტკიცე მაგალითად შეიძლება საქართველოს მხატვართა კავშირი მოვიყვანოთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1974 და 1977 წლებში მიიღეს ორი საგანგებო დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში მხატვართა მატერიალური ბაზის გაუმჯობესების შესახებ. დღეს ამ დადგენილებების მრავალი პუნქტი ან უკვე შესრულებულია, ან შესრულების პროცესშია. მაგალითად, ქართული კულტურის დიდ კერებს შეიმატა კიდევ ერთი მართლაც დიდებული კერა — „მხატვრის სახლი“, რომელიც თბილისის ცენტრში გაიხსნა. მისი ვეებერთელა მოდმივი ექსპოზიცია ხელს შეუწყობს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მდიდარი მონაპოვრის უკეთ აღქმასა და შეფასებას, სამხატვრო კადრების ზრდას. მხატვართა ასეთ შესანიშნავ სასახლეს ჩვენს ქვეყანაში სულ ორიოდე ქალაქი თუ დაიქადნის.

მაგრამ ასეთი საჩუქარი მარტო ჩვენმა დედაქალაქმა როდი მიიღო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მოიწონეს მხატვართა კავშირის ინიციატივა, რათა რესპუბლიკის არც ერთი ქალაქი და რაიონული ცენტრი არ დარჩეს საკუთარი სურათების გალერეის გარეშე. ასეთი გალერეები უკვე გაიხსნა ქუთაისში, ბათუმში, ბორჯომში, ფოთში, ბიჭვინთაში. სულ ახლახან მათი დაარსება საზეიმოდ აღინიშნა ცხაკაიასა და თერჯოლაში. შენდება ზესტაფონისა და რამდენიმე სხვა ქალაქის მხატვრული გალერეებიც.

უკანასკნელ ხანს ასამდე მხატვარს სპეციალურად აუშენდა ანდა გამოეყო კეთილმოწყობილი სახელოსნოები. მხატვართა სახელოსნოებით უზრუნველყოფის საქმეში ჩვენი რესპუბლიკა ერთი პირველთაგანია საბჭოთა კავშირში. დღეს უკვე სამასამდე სახელოსნოა და საქმე კვლავ წინ მიიწევს. სულ ახლახანს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება უკვე აშენებული სახლების გამოოყენებული სხვენების ადგილზე მხატვართა სახელოსნოების მოწყობის შესახებ. ამას გარდა, თბილისში რამდენიმე ადგილის შენდება საჩვენებელი სახელოსნოები. თორმეტი ასეთი სახელოსნო უკვე მზად არის. მალე ასეთივე სახელოსნოები გამოეყოფათ თეატრალურ მხატვრებსაც. გარდა ამისა, სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, ქალაქის ფარგლებში გამოთავისუფლებული სარდაფები გადაეცემა მხატვართა კავშირს გამოყენებითი ხელოვნების ცალკეული დარგებისათვის სახელოსნოების გასამართავად. ეს არის ჩინებული, უაღრესად საჭირბოლო ღონისძიება. იგი დიდად შეუწყობს ხელს გამოყენებითი დარგების შემდგომ განვითარებას და ხალხური ხელოვნების ნიმუშთა წარმოებას, იშვიათობად ქცეულ სპეციალობათა ხელახალ აღორძინებას.

მხატვართა აქტიურ საქმიანობაში ჩაბმისათვის ფრიად საყურადღებოა ცალკეული დასახლებათა კომპლექსური გენერალური გეგმების შედგენაც, რაშიც მხატვრულ გაფორმებას მნიშვნელოვანი როლი ეთმობა. ამის მაგალითია ენგურჰესის ტრასისა და საქართველოს სამხედრო გზის მხატვრული გაფორმების პროექტები. წელს მხატვრებმა ასზე მეტ ბინიანი დიდი საცხოვრებელი სახლი მიიღეს, სადაც ყოველ ბინას თავისი სამხატვრო სახელოსნო აქვს.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისადმი გულისყურიანი დამოკიდებულების ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციების ცხოვრები-დანაც.

ამ მხრივ საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის“ გახსენებაც კმარა. თეატრისა, რომელიც სამაგალითო გახდა ყველა მომმე რესპუბლიკისა და საკავშირო ეროვნული ფორმიერ ეროვნული ხელოვნების ფორმიერ ეროვნული ხელოვნების ფორმიერ ეროვნული ხელოვნების

ერთგული

ოქრო ქორნილის სუფრაზე სტუმარ გოგონას უნებლიედ წამოსცდა: „უი, ორმოცდაათი წელი როგორ არ მობეზრდათ ერთმანეთისო?“ ისე გულუბრყვილოდ, უბოროტოდ იყო ნათქვამი, რომ უხერხულობა არ შეუქმნია, უბრალოდ, გასათხოვარ გოგონას აუხსნეს: „საინტერესო ადამიანთან ყოფნა არ ბეზრდებათო“, ანუ მიახვედრეს, კაცს ცოლის ერთგულება არ დაეძრახებაო. არც პროფესიის ერთგულება, ვუმატებ მე, რადგან ეს დღეები ვლადიმერ გინზბურგის მაგალითი მაქვს თვალწინ.

ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ჟურნალისტიკაზე ჯვარი დაიწერა. ერთმანეთი არ მობეზრებიათ, პირიქით. ბოლომდე უერთგულა არამარტო პროფესიას, არამედ იმ გაზეთსაც, რომელმაც მისი ნიჭი, პროფესიული უნარი და კეთილშობილება მკითხველ მასას გაუხსნა.

„კომუნისტს“ 60 წელი გაისად უსრულდება, ვლადიმერ გინზბურგს წელს შეუსრულდა. პირველი ჩვიდმეტი წელიწადი გამოდიოდა გაზეთი უგინზბურგოდ. ჩვიდმეტი წლისა მოვიდა იგი რედაქციაში და აი უკვე თითქმის ორმოცდასამი წელია, უმწიკლოდ ემსახურება მას. ამ ხნის განმავლობაში იუბილარს ერთი კვირითაც არ დაუტოვებია გაზეთი! არც მაშინ, როცა სამუშაო კვირა ექვსდღიანი იყო, არც მერე, როცა ხუთდღიანი გახდა, გინზბურგი არც ექვს და არც ხუთ დღეს ზედიზედ ავადაც არ გამხდარა. ამაოდ დაშვრება ვინმე საბუღალტრო არქივში მისი ავადმყოფობის ფურცლის დასაძებნად, სამაგიეროდ ბევრ მის სამივლინებო ფურცელს ნახავს.

ყველაზე ხანგრძლივი მივლინება მას სამამულო ომში ჰქონდა. მაგრამ ომის ძნელ გზებზეც ხომ „კომუნისტის“ მონმობას ატარებდა ჯიბით, რედაქციის ფოტოაპარატი ეკიდა მხარზე. მისი ომისდროინდელი, ამიერკავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მოქმედ შენაერთებში გადაღებული ფოტოები „კომუნისტის“ გარდა საბრძოლო მრავალტირაჟიან გაზეთებშიც იბეჭდებოდა. ჟურნალისტიკის ისტორიკოსმა იქნებ გაიკვირვოს კიდეც, ჩვენმა გაზეთმა 1942 წელს ასე ფართოდ, მთელ გვერდზე რატომ აღნიშნა სახაზო გემის „სევასტოპოლის“ იუბილე. მაგრამ ერთობ მოულონება, როცა გაიგებს, რომ მთელი გვერდის როგორც საილუსტრაციო, ისე ლიტერატურული მასალა სამხედრო სპეციალური კორესპონდენტის ვლ. გინზბურგის შემოქმედებაა.

შემოქმედებამ ხელოვნისა აღამაღლა იგი, იმდენად საჭირო გახადა ხალხისათვის და საქმისათვის, რომ, ვფიქრობ, „კომუნისტის“ მუდმივ მკითხველს უგინზბურგოდ ვერც კი წარმოუდგენია ჩვენი გაზეთი (აღლღიანი კაცია ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი წითლიძე — მოსალოდ დეპეშაში სწორედ ამას გაუსვა ხაზი).

ვლ. გინზბურგის ფოტონახელავი სასურველ სუვენირად, სამახსოვრო საჩუქრად მიიჩნევა ხოლმე. ასეთი შემთხვევებიც ყოფილა: გაზეთს ღირსეული ყმაწვილი ქალისა თუ ვაჟის სურათი დაუბეჭდავს, მკითხველს, ყმაწვილ ვაჟსა თუ ქალს, მოსწონებია ეს სურათი, ავტორის შემწეობით მათ ერთმანეთი მოუნახავთ და კარგი ქორწილიც გადაუხდიათ.

ჭეშმარიტად, რომ სიკეთის თესვას სავარგული ძებნა არ უნდა.

ახლა ისიც ვთქვათ, რომ თავისი სურათების ტექსტებს ვლ. გინზბურგი თვითონვე ადგენს დიდის მონდომებითა და რუდუნებით, არსში წედომით, შეუცდომლად. საბუღალტრო არქივიდან ვინმე სარედაქციო არქივში თუ გაიელის და გინზბურგის მიერ დაშვებული უზუსტობის თაობაზე ბრძანების მოძებნას მოისურვებს, იქაც ხელი მოეცარება.

კიდევ ერთი კარგი თვისება აქვს, ყოველშემთხვევაში ჩვენს სინამდვილეში ფასდაუდებელი — შემოქმედებაში პროვინციალი არ არის. ჯერ სტუმრისთვის არ უკითხავს, როგორ მოგწონს ჩვენი ქალაქი, რას იტყვით ქართველებზე, ან ჩვენს მოჭადრაკე ქალებზეო. მაგრამ საუბარი ისე ნარუმართავს, რომ ინტერვიუში სტუმარს სრული პასუხი გაუცია დაუსმელ კითხვებზე. ასე რომ, იუბილარს ფოტოობიექტივი და კალამი ერთნაირად ემარჯვება. თვითონ რომ ჰკითხეს, მაინც რომელი უფრო გეხერხებაო, აპარატს ეშმაკის თავი უწოდა, კალამს კი ფეხი, ეშმაკისავე, რა თქმა უნდა.

იუმორის თანდაყოლილსა და თანგამოყოლილ გრძნობას არ ღალატობს. ძველი თაობის ჟურნალისტები ახლაც ღიმილით იგონებენ „ვოვას ოინებს“.

იმას კი ვეღარ მეგახსენებთ, იუმორში ჩაეთლება თუ არა კინოვარსკვლავებთან უბრობა და ცირკის ვარსკვლავებზე გადაგება. მართლაც, ვლ. გინზბურგს საბჭოთა ცირკის ოსტატების საუცხოო ფოტოგალერეა აქვს შექმნილი, ნარკვევებიც კი უნერია მათზე.

ასეთია ჩვენი იუბილარი. არა, გაცილებით კარგი და სათნო, ნატიფი სულისა და არტისტი საქმეში, მოქალაქე, პატრიოტი და მოღვაწე.

ერთხელ ვკითხე, როგორ მოხდა სამოცი წლის ეს ინტელიგენტი კაცი ჯერ უცხოეთში არ ყოფილხართ, ნუთუ უცხო ქვეყნებისათვის თვალის შვენების სურვილი არ დაგბადებიათ-მეთქი?

— რატომაც არა, ტურისტული საგზური შემოუთავაზებიათ, მაგრამ როგორღაც სულ გადავდები ხოლმე. საქართველო კი მაქვს ფეხით შემოვლილი. თითქმის ნახევარი საუკუნეა, ფირზე ვიღებ მისი მიწის ყოველ მტკაველს. ჩემი სანუკვარი ოცნებაა საქართველოს ფოტოგრაფიული რუკა-პანოს შედგენა. უცხოეთს პენსიაში გასვლის შემდეგაც მოვესწრები.

ბედნიერი კაცი! შრომის რომანტიკა არც ავადმყოფობის და არც საკუთარი სიამოვნების დროსა და საშუალებას არ აძლევს.

ღირსეული მოქალაქის იუბილე ქალაქის სიხარულია. ჩვენმა თბილის-ქალაქმა გაკკურათ თქვენ ღირსების მირონი„ პატივცემულო ვლადიმერ, გაგზარდათ, შეგითვისათ.

დიდხანს ამაყად იარეთ მის ლამაზ ქუჩებში. საქართველოს ჟურნალისტები, თქვენს იუბილეს რომ აღნიშნავენ, რწმენით არიან—პენსიონერიც, თქვენ ჩვენს რიგებში ხართ. „კომუნისტის“ თქვენეული ფოტოლაბორატორია კვლავ გელით მომავალი ფოტოგამოფენის სამზადისად.

საიუბილეო გამოფენისა!

იძგერე, გულო!

კარდიოლოგიის თანამედროვე პრობლემები

საბჭოთა კავშირში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და მედიკოს მეცნიერთა მთავარ ამოცანად იქცა. უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტებში, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს ეხება, არაერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება ამ სნეულებათა, მათი განვითარების მექანიზმების კვლევა-ძიების გაფართოებისა და გაღრმავების, მათი მკურნალობის და პროფილაქტიკის ეფექტიანი გზების ძიების აუცილებლობაზე.

როგორც ცნობილია, სადღეისოდ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები საკმაოდ გავრცელდა. ჯერ კიდევ მაღალია მთელი გამოწვეული სიკვდილიანობა და შრომის უნარიანობის დაქვეითება. მაგალითად, თუ სიკვდილიანობის მიზეზთა შორის 1939 წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები 11 პროცენტს შეადგენდა, 1971 წლისათვის 47 პროცენტს მიაღწია, ხოლო ამ დაავადებით გამოწვეული ინვალიდობა 30 პროცენტს შეადგენს.

ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლის საქმეს.

როგორია თანამედროვე მედიცინის ამ აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზები? ვიგრძელებთ რა დაავადებათა მექანიზმების კვლევასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების დამუშავებას, ვსწავლობთ რა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალ მეთოდებს, ჩვენ გაცილებით სერიოზულად და აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა წინააღმდეგ. განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს განვითარებული დაავადებით გამოწვეული გართულებების თავიდან აცილებისათვის, დროული კვალიფიციური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისათვის. ამ გრანდიოზული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრა მოითხოვს მწყობრი, ჩამოყალიბებული კარდიოლოგიური სამსახურის ორგანიზაციას, სამკურნალო და პროფილაქტიკური ქსელის შექმნას, დაავადების ეტაპური მკურნალობის პრინციპის განხორციელებას.

შემთხვევითი არ არის, რომ წელს ოქტომბერში მოსკოვში გამართულ კარდიოლოგთა მესამე საკავშირო ყრილობის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას მიეძღვნა. ყრილობაზე აღინიშნა ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგები და დაისახა მომავლის პერსპექტივები.

საბჭოთა კავშირში სპეციალიზებული კარდიოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ 1960 წლიდან დაიწყო. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1971 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებას — „ლენინური შაბათობებიდან შემოსული ახსრებით საკავშირო კარდიოლოგიური ცენტრის და ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რესპუბლიკებსა და ოლქებში კარდიოლოგიური კორპუსების მშენებლობის შესახებ. ამჟამად უკვე აგებულია 24, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაში კარდიოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტების კორპუსები, რომლებიც თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით არის აღჭურვილი.

სპეციალიზებული კარდიოლოგიური სამსახური რეგლამენტირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება მიღებულია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით და შეიცავს მთელ რიგ ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიც არის მატერიალური ბაზის შექმნა, დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების შემუშავება და დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში; სათანადო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, კადრების მომზადება, სანიტარიული რეაბილიტაციის საკითხები და სხვ. 1985 წლისათვის ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს 73 კარდიოლოგიური დისპანსერი, სავადმყოფოებში 578 კარდიოლოგიური განყოფილება, 3.648 კაბინეტი, უნდა შეიქმნას სასწრაფო დახმარების 1.578 სპეციალიზებული ბრიგადა.

სადღეისოდ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, პირველყოვლისა, კარდიოლოგიური სამსახური გამოეყო რევმატოლოგიას. შეიქმნა კარდიოლოგიური სამსახურის პრინციპული სქემა. საკავშირო სამინისტროსთან ჩამოყალიბდა კარდიოლოგიის სამმართველო. ამასთან რამდენიმე წელია გვაქვს საკავშირო სამეცნიერო კარდიოლოგიური ცენტრი, რომელიც უდიდეს მუშაობას ეწევა.

ათ რესპუბლიკაში შექმნილია კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლახან მიღებულია გადაწყვეტილება ლენინგრადში შეიქმნას რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კარდიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ფილიალი ექნება სარატოვში. ასეთივე ინსტიტუტები იქმნება ციმბირში და სხვ.

კარდიოლოგიური სამსახურის სწორად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო კადრების მომზადებას და მათ სწორ განაწილებას. განზრახულია უახლოეს 7 წელიწადში მომზადდეს 15.000 სპეციალისტი.

კარდიოლოგიური დახმარების ძირითადი რგოლია პოლიკლინიკის კარდიოლოგიური კაბინეტი. ამ ეტაპზე ხდება მოსახლეობის სრული დისპანსერიზაცია. დაავადებულთა გამოვლინება, პროფილაქტიკური და მკურნალობის ღონისძიებათა განხორციელება.

სპეციალიზებული დახმარების მეორე რგოლია საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სპეციალიზებული კარდიოლოგიური სასწრაფო დახმარების კარგი ორგანიზაცია, მისი დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით. ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტა იმიტომ არის საჭირო, რომ საავადმყოფოში დაწვენამდე კარდიოლოგიური პროფილის ავადმყოფები (განსაკუთრებით მწვავე შემთხვევები) მოითხოვენ გადაუდებელ კვალიფიციურ დახმარებას, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე ახლო წარსულში სიკვდილიანობის პროცენტი ყველაზე მაღალი იყო. სადღეისოდ ამ მიმართულებით სწორმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა მკვეთრად შეამცირა სიკვდილიანობა საერთოდ სსრ კავშირში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, რაც ჯანდაცვის ორგანოების ერთერთ მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

გულ-სისხლძარღვთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული ჯანდაცვის დაწესებულებების, განსაკუთრებით კარდიოლოგიური პროფილის სტაციონარების მომარაგებაზე საჭირო სადიაგნოსტიკო აპარატურით და მედიკამენტებით.

უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. შეიქმნა და დაინერგა კლინიკურ პრაქტიკაში ისეთი ახალი სამამულო წარმოების პრეპარატები, რომლებიც ეფექტიანობით არათუ არ ჩამორჩება, სჯობს კიდეც უცხოურ საშუალებებს.

სადღეისოდ ჩვენ შეგვიძლია ფართოდ გამოვიყენოთ კლოფელინის აბები და ინექცია (იმპორტული ჰემიტონის ანალოგი), პარმიდინის აბები (ანგინინი), ანაპრილინი (იმპორტული ობზიდანი), ორიგინალური სამამულო საშუალება ეტმოზინი — დარღვეული რიტმის სამკურნალოდ. გაისად გამოვუშვებთ რიბოქსინს (ინოზიე-ს ანალოგი), ტრინიტროლონგს (სუსტაკის და ნიტრონგის ანალოგი) და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წამლებით მომარაგების საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს მთელი რიგი გადაუწყვეტელი საკითხები. კერძოდ, ნაწილობრივ კმაყოფილდება კარდიოლოგიური პროფილის დაწესებულებების შეკვეთები ყველაზე ეფექტიანი თანამედროვე საშუალებებით. სამწუხაროდ, სააფთიაქო ქსელში ჯერ კიდევ მაინც არის მოძველებული, ნაკლებეფექტიანი პრეპარატები, რომელთა დროული ჩამოწერა, მათი სიიდან ამოღება, ბევრად შეუწყობდა ხელს უფრო თანამედროვე, ეფექტიანი საშუალებების წარმოებას და საფთიაქო ქსელის სათანადო მომარაგებას. კარდიოლოგიური პრეპარატების სწორი შერჩევისა და სწორი განაწილებისათვის სასურველი იქნებოდა ამ საქმეში ჩაგვება სპეციალიზებული სამეცნიერო დაწესებულებები და წამყვანი სპეციალისტები.

საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. ექიმების ფართო საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ საკმარისად არ იცნობს ახალ, ეფექტიან კარდიოლოგიურ საშუალებებს, ნაკლებად გვაქვს ინფორმაცია ამ ახალი პრეპარატების შესახებ. ამისათვის საჭირო იქნება სარეკლამო ცნობარების ან თუნდაც კარდიოლოგიური პროფილის ჟურნალში სათანადო ინფორმაციის გამოქვეყნება.

ზემოაღნიშნული საკითხები კარდიოლოგთა ამასწინანდელი საკავშირო ყრილობის ფართო მსჯელობის საგანი გახდა. შემუშავებული და მიღებულია სათანადო რეკომენდაციები და გადაწყვეტილებანი.

ერთი სიტყვით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ პირობას გვიქმნიან, რათა ფართოდ გავშალოთ ბრძოლა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ. ჩვენი, მედიკოსების მოვალეობაა ყველაფერი ვიღონოთ ამისათვის, რომ გავამართლოთ ეს დიდი ნდობა და დახმარება.

ი. ჭუმბურიძე,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

გორელი ფალავნის დიდი გამარჯვება

სასიხარულო ცნობა მოვიდა პარიზიდან. აქ მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ტოლი არავის დაუდო 24 წლის გორელმა სპორტსმენმა თემურ ხუბულურმა (95 კგ-მდე წონითი კატეგორია) და ოქროს მედალი მოიპოვა. 6 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მიღებულმა ... ძიუდოისტმა, რომელიც ... ...